„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_______________ ს. [illegible]ნაძე
15 ___ 07 ___ 2019
დადგენილება № _______

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2. დოკუმენტაციის კონტროლი 6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
3. შესავალი 7
4. ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. მიზანი 7
მუხლი 2. მოწყვლადი ჯგუფები 7
მუხლი 3. მექანიზმი 7
თანადაფინანსება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის 8
საფრენოსნო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის: 8
საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისათვის: 8
მუხლი 4. სტიპენდია 8
მუხლი 5. შეღავათი სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის 9
მუხლი 6. ინდივიდუალური სახის შეღავათები 9

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2019					
1	2	0	ივლისი 2019					
i	3	0	ივლისი 2019					
ii	4	0	ივლისი 2019					
iii	5	0	ივლისი 2019					
2	6	0	ივლისი 2019					
3-4	7	0	ივლისი 2019					
4	8	0	ივლისი 2019					
4	9	0	ივლისი 2019					
4	10	0	ივლისი 2019					

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3. შესავალი

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განათლებას იღებენ სხვადასვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი სტუდენტები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ მიზეზით უჭირთ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის ანაზღაურება, შესაბამისად სტუდენტი დგება სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების წინაშე, რაც თავისთავად საზიანოა მისი სამომავლო განვითარების, დასაქმებისა და კარიერული წინსვლისათვის.

4. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. მიზანი

1. მექანიზმის მიზანია განსაზღვროს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების ხელისშემწყობი წესი, რაც თავის მხრივ წაახალისებს აღნიშნული სტუდენტების სრულფასოვან ინტეგრაციას საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო სხვადასხვა პროცესებში.

მუხლი 2. მოწყვლადი ჯგუფები

1. ჯგუფები, რომლის წარმომადგენლებსაც ემუქრებათ მარგინალიზაციის საფრთხე შრომის ბაზრიდან ან/და საზოგადოებიდან. სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების მრავალფეროვანი სქემების მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფების კატეგორიები სულ უფრო ფართოვდება. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის წარმომადგენლებს უზრუნველყოფს მხარდაჭერის გარკვეული მექანიზმებით:

1.1. სოციალურად დაუცველ პირები;
1.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები;
1.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
1.4. იძულებით გადაადგილებულ პირები;
1.5. ობოლი პირები;
1.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები;
1.7. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები;
1.8. მრავალშვილიანი ოჯახების წევრები;
1.9. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები/ოჯახის წევრები.

მუხლი 3. მექანიზმი

1. მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტთათვის უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი ფასდაკლებები:

1.1. თანადაფინანსება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის;
1.2. სტიპენდია;
1.3. შეღავათი სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის;
1.4. ინდივიდუალური სახის შეღავათები

თანადაფინანსება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის

1. აღნიშნული ფასდაკლება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში; უნივერსიტეტში ჩარიცხული ის პირველკურსელები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას, ამავდროულად უნივერსიტეტისგან მიიღებენ თანადაფინანსებას

საფრენოსნო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტისაგან მიიღებს წლიურ თანადაფინანსებას 1000 ლარის ოდენობით. თუ სასწავლო წლის თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტის ქულათა საშუალო ჯამი იქნება 91 და მეტი, თანადაფინანსება გაგრძელდება მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაშიც.

საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისათვის:

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პირველ პრიორიტეტად მითითებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტისაგან მიიღებს წლიურ თანადაფინანსებას 750 ლარის ოდენობით. თუ სასწავლო წლის თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტის ქულათა საშუალო ჯამი იქნება 91 და მეტი, თანადაფინანსება გაგრძელდება მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაშიც.
2. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პირველ პრიორიტეტად მითითებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 70%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტისაგან მიიღებს წლიურ თანადაფინანსებას 500 ლარის ოდენობით. თუ სასწავლო წლის თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტის ქულათა საშუალო ჯამი იქნება 91 და მეტი, თანადაფინანსება გაგრძელდება მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაშიც.
3. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პირველ პრიორიტეტად მითითებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტი უნივერსიტეტისაგან მიიღებს წლიურ თანადაფინანსებას 250 ლარის ოდენობით. თუ სასწავლო წლის თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტის ქულათა საშუალო ჯამი იქნება 91 და მეტი, თანადაფინანსება გაგრძელდება მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაშიც.

მუხლი 4. სტიპენდია

1. უნივერსიტეტში არსებობს სახელობითი სტიპენდიები, რომლებიც დაწესებულია პარტნიორი კომპანიების მიერ. სტიპენდიის დანიშვნის პირობები განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციების მიერ.

მუხლი 5. შეღავათი სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის

1. აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში; ზემოთხსენებული რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელმა სტუდენტმა, შესაბამისი დოკუმენტისა წარმოდგენისა და რექტორის სახელზე განცხადებით მიმართვის შემდეგ, სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული ფასდაკლება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ ბრძანების გამოცემით და განმცხადებელი შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულიად განთავისუფლდეს სწავლის ღირებულების გადასახადისაგან, ან სურვილის შესაბამისად დაერთოს სწავლის საფასური ყოველთვიური შენატანებით დაფარვის ნება.

2. შეღავათის მისაღებად სტუდენტმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტები:

2.1. სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე.

2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობასთან ერთად, საქართველოში ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად განსახლების მუნიციპალიტეტებში, ბოლო 5 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);

2.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა No50/II (ასლი);

2.4. იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა;

2.5. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

2.6. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი; 5.4.8 მრავალშვილიანი ოჯახების წევრებმა - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი.

2.7. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.

მუხლი 6. ინდივიდუალური სახის შეღავათები

1. მსგავსი სახის საშეღავათო ღონისძიება შესაძლოა გავრცელდეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა პროგრამაზე. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა ან/და მთი ოჯახის წევრებისათვის, მაგალითად:

1.1. უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებზე;

1.2. დებზე, ძმებზე ან და-ძმებზე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში;

1.3. სხვა ცალკეულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით.

2. შეღავათის სიდიდე განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.